



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 079/16¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი სალომე აბულაძე

ფაქტები

საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის სამოქალაქო დავაზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით დაიდო ზეპირი შეთანხმება. ადვოკატს მისი, როგორც მოპასუხე მხარის, ინტერესები უნდა წარმოედგინა ბანკთან ურთიერთობასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში. ადვოკატმა საკუთარი ინიციატივით სარჩელი სასამართლო სხდომაზე სრულად ცნო, რაც კლიენტთან არ შეუთანხმებია. ამავე სხდომაზე ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარს ამბობდა და ყოველგვარი განმარტების გარეშე კლიენტს ისე მოაწერინა ხელი აღნიშნულ განცხადებაზე, რომ კლიენტისთვის უცნობი იყო თუ რას ნიშნავდა სარჩელის ცნობა და რა შედეგებს გამოიწვევდა გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმა. ადვოკატმა დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება და განხილვის სხდომებზე დაბარების შესახებ შეტყობინებები პირადად ჩაიბარა. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არც წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა და არც საქმის ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორმა შეიტანა საჩივარი ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა არ იმოქმედა კლიენტის ინტერესების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებით, კლიენტთან არ ჰქონია სარჩელის ცნობის შესახებ გადაწყვეტილება შეთანხმებული, არ აუხსნია მისი თანმდევი სამართლებრივი შედეგები, არ აუხსნია გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის თანმდევი სამართლებრივი შედეგები, შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ვალდებულებები.

ადვოკატის როგორც მოქმედებები, ისე უმოქმედობები წარმოაჩენს მის ხედვას და უარყოფით, არაკვალიფიციურ დამოკიდებულებას პროფესიისადმი. მასში არ წარმოჩინდება კლიენტის უფლებების დაცვის ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის განცდა. ამასთან ეთიკის კომისიასაც გაუჭირდა ადვოკატთან კომუნიკაცია. დისციპლინურ წარმოებაში ადვოკატი არ ჩაერთო. აღნიშნული ნათელს ჰყენს ადვოკატის პროფესიულ კორპორატიულ უარყოფით დამოკიდებულებას, რაც ვნებს კლიენტისა და საზოგადოებისადმი ნდობას, ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმს და უკავშირდება პროფესიის მიმართ თვითნებურ დამოკიდებულებასაც. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათის ან

¹ ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N079/16:

<https://www.gba.ge/pdf/5c62cb9eeb939.pdf/079.16%20%2026.06.17%20shechereba.pdf>

გაფრთხილების გამოყენება ვერ იქნება პროპორციული და ეფექტური პროფესიაში მყოფი სხვა პირების დაცვისათვის საზოგადოებისა და კანონის წინაშე.

დასკვნა:

ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი. ადვოკატის მიმართ სახდელის სახედ განისაზღვრა 6 (ექვსი) თვის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ადვოკატისათვის დადებული სახდელი მიმართულია ადვოკატის პროფესიული ღირსების ამაღლებისაკენ და წარმოადგენს საზოგადოებაში ამ პროფესიისადმი ღირსეული დამოკიდებულების დამკვიდრების გარანტს, რადგან პროფესიულ ავტორიტეტს ქმნის როგორც ყველა ადვოკატის, ასევე ინდივიდუალურად რომელიმე ადვოკატის ეთიკური სტანდარტების დაცვით გაწეული მომსახურება.

შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ადვოკატს საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2017 წლის 26 ივნისის N079/16 გადაწყვეტილება; ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.